სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

27 ნოემბერი 2025 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 205

2025 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანებით დამტკიცებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების წესი და პირობების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის „დ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის, „2025 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 2 ივლისის N96 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის მ/შ სამსახურებრივი ბარათის (N1685441; 27/11/2025) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2025 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსში გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. გამარჯვებული პროექტის ავტორებმა არაუგვიანეს 2025 წლის 4 დეკემბრის 18:00 საათისა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები (ლარის) და ცნობა ბანკიდან იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა 2025 წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ.

3. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტის ავტორ დოქტორანტებთან და შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2025 წლის 19 დეკემბრისა.
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

დანართი

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

2025 წლის 27 ნოემბრის N205 ბრძანებით

2025 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის გამარჯვებული პროექტები

N	პროექტის შიფრი
1	PHDF-25-1280
2	PHDF-25-138
3	PHDF-25-999
4	PHDF-25-5026
5	PHDF-25-1474
6	PHDF-25-107
7	PHDF-25-128
8	PHDF-25-3232
9	PHDF-25-204
10	PHDF-25-1644
11	PHDF-25-6713
12	PHDF-25-1062
13	PHDF-25-523
14	PHDF-25-3035
15	PHDF-25-547

16	PHDF-25-2668
17	PHDF-25-938
18	PHDF-25-2286
19	PHDF-25-066
20	PHDF-25-1783
21	PHDF-25-722
22	PHDF-25-1570
23	PHDF-25-1571
24	PHDF-25-2055
25	PHDF-25-430
26	PHDF-25-2427
27	PHDF-25-545
28	PHDF-25-307
29	PHDF-25-3641
30	PHDF-25-641
31	PHDF-25-535
32	PHDF-25-577
33	PHDF-25-112
34	PHDF-25-234
35	PHDF-25-345
36	PHDF-25-1596

37	PHDF-25-370
38	PHDF-25-666
39	PHDF-25-791